არჩეულია იაპონიის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი წინამძღვარი

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 28.09.2023. 28 სექტემბერს ტოკიოში გაიმართა იაპონიის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიის რიგგარეშე კრება, რომელმაც მისი ახალი წინამძღვარი აირჩია. ახალარჩეული ტოკიოს მთავარეპისკოპოსი და სრულიად იაპონიის მიტროპოლიტი გახდა სენდაის მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ცუჯიე), იაპონიის მართლმადიდებელი ეკლესიის სამიტროპოლიტო საყდრის ადგილმონაცვლე.

ავტონომიის შესახებ იაპონიის მართლმადიდებლი ეკლესიის ტომოსის შესაბამისად, რომელიც მას 1970 წელს ებოძა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ 2023 წლის 28 სექტემბერს თავისი განკარგულებით დაამტკიცა არჩევნების შედეგები და ღვთის კურთხევა მოიხმო ახალარჩეული წინამძღვრის მოღვაწეობაზე.

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი სერაფიმე დაიბადა 1951 წლის 23 მარტს ქალაქ აკიტაში (იაპონია).

1987 წელს მიიღო წმიდა ნათლობა ანდრია სახელწოდებით მოციქულ ანდრია პირველწოდებულის პატივსაცემად. 1990 წელს დაამთავრა ტოკიოს სასულიერო სემინარია.

1989 წლის 5 ნოემბერს დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1991 წლის 18 აგვისტოს – მღვდლად.

მუშაობდა ტოკიოს მიტროპოლიის კანცელარიაში და ასრულებდა ინსპექტორის მორჩილებას ტოკიოს სასულიერო სემინარიაში. 1993 წლის აგვისტოდან მსახურობდა ტოკიოს აღდგომის საკათედრო ტაძარში.

1999 წლის 20 აგვისტოს სერგის წმიდა სამების ლავრის სამების საკათედრო ტაძარში მონაზვნად აღკვეცეს სერაფიმეს სახელწოდებით, ღირსი სერაფიმე საროველის პატივსაცემად.

1999 წლის 28 დეკემბერს, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, არჩეულ იქნა სენდაის ეპისკოპოსად.

საეპისკოპოსო ხელთდასხმას, რომელიც 2000 წლის 15 იანვარს ჩატარდა მოსკოვის დანილოვის მონასტრის სამების საკათედრო ტაძარში, უძღვებოდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი ალექსი II.

2012 წლის 8 ივლისს აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

2023 წლის 11 აგვისტოს, ტოკიოსა და სრულიად იაპონიის მიტროპოლიტ დანიელის **გარდაცვალებასთან** დაკავშირებით, აირჩიეს იაპონიის მართლმადიდებელი ეკლესიის სამიტროპოლიტო საყდრის **ადგილმონაცვლედ.**

ფოტო იაპონიის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიის საიტიდან

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90813/